საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.06.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 042/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ჯ.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ჯ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 18 ივნისს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ თ. ჯ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2021 წლის 22 აპრილს ---ის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი. მოსარჩელე ფ. ნ. - წარმომადგენელი ადვოკატი თ. ჯ., მოპასუხე მხარე მ. კ. - წარმომადგენელი მ. ქ.. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატი თ. ჯ. „ფსიქოლოგიური ზეწოლით“ აიძულებდა მ. კ.-ს დათანხმებულიყო მის შემოთავაზებულ გარიგებას ფ. ნ.-თან, რითიც მომჩივანის განმარტებით, ის „გაეხვეოდა სასამართლო დავებში და ადვოკატი თ. ჯ. მისი კლიენტისგან მიიღებდა დიდძალ თანხებს“.

1.2 მ. კ.-ის განცხადებით, მან სასამართლო სხდომის დროს ადვოკატ თ. ჯ.-ს მიმართა შემდეგნაირად: „მაგ გარიგებასა და მორიგებებს რომ მაიძულებ და მაძალებ, შენ თუ შეძლებ ჩემი გარდაცვლილი მეუღლის საფლავიდან აყენებასა და გაცოცხლებას, როცა შენ ამას შეძლებ მაგ გარიგებების შემოთავაზებებით მერე

მომმართე“, რაზეც ადვოკატმა თ. ჯ.-მა უპასუხა: „აი ბატონო მოსამართლევ, რა მკადრა ამიყენეო, ნახეთ გესმით რას ამბობსო? „ამიყენე“, „ამიყენე“, მთხოვსო და მე როგორ უნდა ავუყენოვო, არა ვერ აგიყენებო“.

1.3 მომჩივანის განცხადებით, ზემოაღნიშნული მიმართვები მისთვის უცენზურო და უხამსი. ამასთან, ადვოკატი თ. ჯ. უტაქტო ჟესტების გამოყენებით ხელს უშლიდა მის წარმომადგენელს - მ. ქ.-ს საუბარში. მომჩივანის განცხადებით, ადვოკატმა თ. ჯ. დაუკავშირდა მის ადვოკატს მ. ქ.-ს და მოსთხოვა მიეცა ცრუ ჩვენებები სასამართლო პროცესებზე.

2. ადვოკატ თ. ჯ.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატის განცხადებით, მ. კ., რომლის ინტერესებს იცავს ადვოკატი მ. ქ. არის მისი მარწმუნებლის - ფ. ნ.-ის მოწინააღმდეგე მხარე. სამი სასამართლო დავა მიმდინარეობს ---ის საქალაქო და ---ის რაიონულ სასამართლოებში. ადვოკატის განცხადებით ის შესაძლო მორიგების მიღწევის მიზნით მ. კ.-ს ორჯერ დაუკავშირდა ადვოკატ მ. ქ.-ის წინასწარი თანხმობით. თავდაპირველად, მ. კ.-მ დადებითად მიიღო მისი შეთავაზება, რაც ეხებოდა კონკრეტული თანხის გადახდის სანაცვლოდ სადავო უძრავი ნივთის მისთვის დაბრუნებას და აღნიშნა, რომ ამ საკითხს შეათანხმებდა ოჯახის წევრებთან. მეორე დაკავშირებისას მ. კ.-მ თ. ჯ. მოიხსენია აუგად. ადვოკატის განცხადებით, მისი კოლეგის - მ. ქ.-ის მოტყუებას, მოსყიდვას და ქრთამის შეთავაზებას ადგილი არ ჰქონია.

2.2 ადვოკატის განცხადებით, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, მოსამართლის თანხმობით, ადვოკატმა მ. კ.-ს შესთავაზა მორიგების კონკრეტული პირობებზე მსჯელობა, რაზეც მ. კ.-ს არაადეკვატური რეაქცია ჰქონდა, ყვიროდა შემდეგ ფრაზებს: „ამიყენე გარდაცვლილი ქმარი და მერე მოვრიგდეთ“, რასაც ხშირად იმეორებდა და ადვოკატმა უპასუხა, რომ „ქმარს ვერ აუყენებდა“.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მ. კ.-მ სასამართლო ეზოში ყოფნისას ის დაწყევლა და მის მიმართ აგრესიულად მოქმედებდა, რადგან არ მოეწონა მისი პროცესუალურად დასაშვები აქტიური მოქმედებები საქმის განხილვისას. ადვოკატის განცხადებით, სასამართლო სხდომებზე წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს ეჭვი არ გასჩენია მის ქცევაზე. ადვოკატის განცხადებით, მ. კ. ცდილობს ის დააშინოს და საქმეს ჩამოშორდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობის შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო;

3.2 მ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 18 ივნისს.

3.3 სადავო მოქმედება განხორციელდა 2021 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ თ. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი თ. ჯ. „ფსიქოლოგიური ზეწოლით აიძულებდა“ მის მიერ შემოთავაზებულ გარიგებას დათანხმებულიყო; ადვოკატმა მომჩივანს მიმართა უცენზურო სიტყვებით:

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. (,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6(ა)).
>
> ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

5.3 ადვოკატმა კლიენტის ინტერესები უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს სასამართლოში დადგენილ ქცევის წესებსა და პროცესუალურ კანონმდებლობას.

5.4 ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია, მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს. კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას, ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში, მათ შორის სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას.

5.5 საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი პრეტენზიის თაობაზე, რაც ეხება ადვოკატ თ. ჯ.-ის მიერ მის მიმართ „ფსიქოლოგიურ ზეწოლას“, მათ შორის მისი ადვოკატის მ. ქ.-ისთვის „ცრუ ჩვენების“ მიცემის მოთხოვნას, კოლეგია აღნიშნავს, რომ გარდა, მომჩივანის განმარტებისა საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რითიც დასაბუთდებოდა ადვოკატის მიერ კანონდარღვევით და სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაუცველად მოქმედება. ამასთან, მომჩივანი კონკრეტულად არ უთითებს რა მოქმედებებს ახორციელებდა ადვოკატი თ. ჯ. მის წინააღმდეგ, რაც მიიჩნია ძალადობრივ ქმედებად. ამასთან, კომისიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოკითხულიყო საჩივრის ავტორის ადვოკატი მ. ქ., თუმცა მან უარი განაცხადა მოწმის სახით გამოკითხვაზე. შედეგად, კომისიისთვის უცნობია ადვოკატ მ. ქ.-ის პოზიციას საჩივარში აღნიშნულ გარემოებებზე, მათ შორის იმის თაობაზე ადვოკატმა თ. ჯ.-მა დაარღვია თუ არა სასამართლოში მოქმედი ქცევის წესები, უშლიდა თუ არა ხელს მას განმარტების წარდგენისას და გამოიყენა, თუ არა „უტაქტო ჟესტები“, მოსთხოვა თუ არა მას „ცრუ ჩვენების“ მიცემა სასამართლო პროცესზე. საქმეში წარმოდგენილი ---ის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმით --- არ დასტურდება ადვოკატის მიერ საჩივრის ავტორის მიმართ შესაძლო შეურაცხყოფის ფაქტი.

5.6 ადვოკატ თ. ჯ.-ის პროფესიული ინტერესი იყო სასამართლოში კლიენტების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება, მათ შორის პოზიციის დაფიქსირებისას და მტკიცებულებათა წარდგენის დროს, რა დროსაც გასათვალისწინებელია პროცესის შეჯიბრებითი ხასიათი და მოსამართლის ფართო დისკრეცია - რამდენად გაიზიარებს ის მხარეთა მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.

5.7 შესაძლოა, მ. კ.-ისთვის, როგორც მოდავე მხარისთვის არ იყო მისაღები და მოსაწონი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და პოზიცია, რადგან ის წარმოადგენდა თავისი კლიენტების ინტერესებს, რომელსაც უფლება ჰქონდა სასამართლოსთვის წარედგინა ის მტკიცებულებები და ფაქტები, რაც მისი კლიენტის ინტერესებისთვის იყო სასარგებლო. თავის მხრივ, მ. კ.-ს, როგორც მოდავე მხარეს შეეძლო ემოქმედა სამართალწარმოების შეჯიბრებითობის საფუძველზე.

5.8 ამ შემთხვევაში, არ დასტურდება საჩივრის ავტორის, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის პირადი ღირსების ხელყოფა და მის მიერ კანონიერების პრინციპის დარღვევით საადვოკატო საქმიანობის განხორციელება.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე, 33-ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №042/21 ადვოკატ თ. ჯ.-ის /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/